სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

10653882771522

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221474534

რეგისტრაციის თარიღი

28.10.2022 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ედიბერიძე
მისამართი: თბილისი, ქუჩა მტკვარი №4, ბინა 20
ტელეფონი: 244 40 40

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

ორიათას ოცდაორი წლის ოცდარვა ოქტომბერს, მე ეკატერინე ედიბერიძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ქუჩა მტკვარი N4, ბინა 20 მომმართა მამუკა შეწირულმა, მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პიროვნება მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მამუკა შეწირულმა (დაბ. 08.05.1965წ, მის: თბილისი კორნელი კეკელიძის ქ. N 18 ბ. 4, პ/ნ 01022001769, პ/მ 18IC95461, გაც. 15.02.2019წ) მომმართა. მან განაცხადა, რომ არის შპს „პრემიუმ ჰაუსი“-ს (ს/კ 405106503) დირექტორი. უფლებამოსილება დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის ნომერი B20065820. მე დავრწმუნდი მიმნდობი პირის ქმედუნარიანობაში, რის შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს, მანაც წაიკითხა და განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერეა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, მამუკა შეწირულმა (დაბ. 08.05.1965წ, მის: თბილისი კორნელი კეკელიძის ქ. N 18 ბ. 4, პ/ნ 01022001769, პ/მ 18IC95461, გაც. 15.02.2019წ), როგორც შპს „პრემიუმ ჰაუსი“-ს (ს/კ 405106503) დირექტორმა, ამ მინდობილობით პაატა გუგუშვილს (დაბ: 09.07.1970წ, პ/ნ 01017000220) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

პაატა გუგუშვილი უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც შპს „პრემიუმ ჰაუსი“-ს (ს/კ 405106503) დირექტორის წარმომადგენელი და განმცხადებელი, მართოს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების და პროექტის კორექტირებისთვის საჭირო დოკუმენტაცია. სრულად იმოქმედოს არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად, ახალი მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მიიღოს ნებართვები, მიღოს სპეც. ნებართვები, აზომოს, გამიჯნოს, გააერთიანოს, დააკორექტიროს, დააზუსტოს, შეუცვალოს დანიშნულება მიწის ნაკვეთს, მოახდინოს ცვლილების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში, მიიღოს ამონაწერები. ამ მიზნით იყოს წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანეობაში, მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, მერიის მუნიციპალურ ინსპექციის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ზედამხედველობის სამსახურში, ლეგალიზაციის კომისიაში, აღიარების კომისიაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში.

წარადგინოს განცხადებები, მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტებს, განაცხადოს თანხმობები, მიიღოს გადაწყვეტილებები, მიიღოს სპეც. ნებართვები, აწარმოოს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, შეათანხმოს პროექტები, ატვირთოს ელექტრონულად დოკუმენტები, გამოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტები, განაშენიანების რეგულირების გეგმა, გადაავადოს ნებართვები, გადაიხადოს დადგენილი გადასახადები და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც საჭირო იქნება ზემოაღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროს არქივში და ერთვის ამონაწერის სამეწარმეო რეესტრიდან, დანარჩენი გადაეცა საკუთრების მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 30.00 (ოცდაათი) ლარი, 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 5.00 (ხუთი) ლარი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ 5.40 ლარი.

ხელმოწერა მამუკა შეწირული

ნოტარიუსი ეკატერინე ედიბერიძე